თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 13

18. 10. 2019 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''- ს თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''- ს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი **ანა ფეიქრიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **თინათინ არაბული,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის ინსპექტირების განყოფილების უფროსი **დავით დევიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის აუდიტის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ლალი გოგიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის ინსპექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი **მიხეილ გურგენიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის ინსპექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი **მიხეილ სამადაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის აუდიტის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **ფიქრია სვიმონიშვილი,** მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების

დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N12 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ მერიის დებულებაში ცვლილება განპირობებულია 2019 წლის 09 სექტემბრის #149 კომისიის რეკომენდაციით, სადაც აღნიშნულია რომ მერიის დებულებაში წარმომადგენლის მიერ გასაცემ ცნობათა ნუსხაში არ იყო გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანების 85-ე მუხლის პირველი პრიმა მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი შეიძლება დადგინდეს კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტით.

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა მერიის მიერ და წარმოდგენილ იქნა მერიის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

აღნიშნულ ცვლილების გარდა დებულებაში დაზუსტდა ასევე ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ ცნობის გაცემის უფლებამოსილება, გამოიყო ცალკე პუნქტად და შესაბამისობაში მოვიდა

„საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკურ რეგლამენტთან."

ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ წარმოდგენილი სახით, ნორმატიული აქტის პროექტი მისაღებია და უნდა წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

გადაწყვიტეს: წარედგინოს ნორმატიული აქტის პროექტი ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მერიის მიერ ინიცირებული შიდა აუდიტის სამსახურის დებულების პროექტი, მერიის მიერ ინიცირებულია და მიზნად ისახავს მის მოყვანას შესაბამისობაში „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ„ საქართველოს კანონთან.

დებულების მიხედვით ინსპექტირების განყოფილებას დაერქვა" რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განყოფილება"

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს პროექტის წარმოდგენილ ვარიანტს.

გადაწყვიტეს: წარედგინოს ნორმატიული აქტის პროექტი ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N12 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა განუმარტა კომისიის წევრებს რომ შიდა აუდიტის დებულებასა და მერიის დებულებაში განხორციელებული ცვლილება, რომელიც ეხება შიდა აუდიტის სამსახურში ინსპექტირების განყოფილებისთვის სახელწოდების შეცვლას, გამოიწვევს მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილებასაც.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ცვლილების პროექტს.

გადაწყვიტეს: წარედგინოს ნორმატიული აქტის პროექტი ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით

კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**